# ცის ნამი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

კვირა 1907 წ. 16 დეკემბერი

გაზეთ „**ცის ნამი**“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ დღე. განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „**ცის ნამი**“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: **Тифлисъ, Николаевская площадь, № 1.**

**№ 9.** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. **№ 9.**


**ქრისტინა, ნოე და გულჩინა ჟორდანიები** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ გარდაცვალებას პირველი მეუღლის, მეორე და მესამე მამის

## ნიკო ჟორდანიასი

ს. ლანჩხუთში.

---

ნინა ალექსანდრეს ასული ჯაიანისა, ნადეჟდა და რაიშა ჯაიანები, ბარბარე ფავლენოვისა, ევგენია ახალკაცისა, და ვასილი ჯაიანი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ გარდაცვალების პირველი მეუღლის, მეორე დაუვიწყარ მამის, მეოთხე სიძის, მეხუთე და მეექვსე ძმის

## ლევან მალაქიას ძე ჯაიანის

მიცვალებულს გამოასვენებენ რკინის გზის საავათმყოფოდან **12 საათზე**, დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს **სასაფლაოზე.**

---

**დილით** ი ა ფ - ფ ა ს ი ა ნ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა **დილით**

კვირას, 16 დეკემბერს, არტისტიულ საზოგადოებისის თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება.

## „მ ე ფ ე“

სცენები 4 მოქმედებათ იუშკევიჩისა. თარგმ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი. დასაწყისი სწორეთ დილის $12^1/_4$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მორიგე წევრი **ივ. გომართელი.** რეჟისორი **ვალ. გუნია.**

---

ჟურნალ-გაზეთ. და წიგნების აგენტურა ამხ. „სორაპნისა“ თფილისში.

აგენტურამ დაიწყო მოქმედება 10 დეკემბრიდან. ღებულობს და ყიდულობს ყოველგვარ ჟურნალ-გაზეთებს და სხვადასხვა ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებს, როგორც საკომისიოთ ვადიუ და უვადოთ, ისე **ნაღდ ფულზედ**

**ამხ. „სორაპანსა“ ჰყავს აგენტები შემდეგ ადგილებში:**

1) გორში—არჩვაძე და მაისურაძე.
2) მიხაილოვში—ა. ებანოიძე.
3) ქიათურაში—ი, ცერცვაძე:
4) ყვირილ—საკ. მაღ. „სორაპ.“ ამხ.
5) ქუთაისში—ი. კვიცარიძე.
6) სამტრედიაში—ე. კოხრეიძე.
7) ფოთში—ი. კოხრეიძე.
8) ბათომში—ს. ფარცხელაშვილი.
9) ოზურგეთში—ი. ღლონტი.
10) ლანჩხუთში—შ. ცინცაძე.
11) ჩოხატაურში—
12) სოხუმში—ი. მგელაძე.
13) თელავში—დ. ბამყრელიძე.
14) სიღნაღში—

საქმის სიმტკიცისათვის აგენტებს ამხ. „სორაპნის“ გამგეობის კანტორაში წარმოდგენილი აქვთ ბე (ზალოგი). თვით ამხანაგობა კი დაარსებულია 1906 წელს, რომლის ძირითადი თანხა 15000 მანეთს შეიცავს. ამ თანხის გარდა ამხანაგობის დამაარსებელნი ყოველ შემთხვევისათვის პასუხის მგებელნი არიან თავის კერძო ქონებიდან 12000 მან. ამ რიგათ ამხ. „სორაპანი“ ყოველ შემთხვევისათვის მზათ არის თავისი ქონებით პასუხი გასცეს ყოველგვარ მოთხოვნილებას და პირნათლათ შეასრულოს თავისი ვალდებულება.

ამხანაგობის კანტორა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე, სახლი № 6, ფოსტის და დეპეშის ადრესი: Тифлисъ, Товарищ. „Сорапань“.

(3—1) გამგე ამხ. **მ. გაჩეჩილაძე.**

---

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების**

## წლიური კრების

გაგრძელება დანიშნულია კვირას 16 ამ თვეს, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში კრება დაიწყება დილის თერთმეტ საათზე.

---

**ე ქ ი მ ი**

**ვ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი**

ილებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

**მეჩექმეთა პროფესიონალურ საზოგადოების კანტორა მოთავსებული იქნება: აბას-აბადსკის პერეულოკი, სახლი ტოტიანისა № 10.**

---

## დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა.

ამ ჟამათ თვალ-გადუწვდენელ, რუსეთის იმპერიის მრავალ მილიონ მცხოვრებთა არსებით მოთხოვნილებებსა—და ამ მოთხოვნილებების მესვეურ, ბატონ-პატრონ,—ბიუროკრატის შორის, არსებული ბრძოლა იმ უმწვერვალეს წერტილამდე აღწევს, და ამასთან ისეთს განმანადგურებელ საზოგადოებრივ შედეგებს ამზადებს, რომელიც თავის სისასტიკის შინაარსით არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. არსებული სახელმწიფო,—მსხვილ კაპიტალისტებისა და თავად-აზნაურობის, თავის ბიუროკრატიულ მანქანით და მილიტარიზმით, ეწევა რა სასტიკ ბრძოლას მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ, რომელიც გამოიხატება ქვეყნის უფლებისა და კანონიერების გარეშე დაყენებით სამხედრო და გაძლიერებული წესების შემოღებით, სამხედროსაველე სასამართლოების გაძლიერებით,—თან და თან არღვევს საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმალურ მდგომარეობას და ქვეყანას მიაქანებს სრულ დანგრევისა და ანარქიისაკენ. ქალაქებში უმუშევრობა, ხოლო სოფლათ მოუსავლობა და შიმშილი ჩვეულებრივ მოვლენათ ხდება; კანონიერებისა და უფლების ნაცვლათ, დღეს გაბატონებულია ძარცვა-გლეჯა და უდანაშაულოთა სიკვდილი. არსებულ წესწყობილების წარმომადგენლებს არ შეუძლიანთ დააკმაყოფილონ ხალხის ინტერესები, რადგან ეს პირდაპირ მათ საკუთარ ინტერესების უარისყობა იქნებოდა; მუშათა კლასის ინტერესების—ქალაქის პროლეტარიატის და სოფლის გლეხობის—დაკმაყოფილება დამოკიდებულია არსებულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილების შეცვლაზე; არსებულ ანარქიის, უწესრიგოების მოსპობა, საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმილურ მდგომარეობის აღდგენა, მჭიდროთ შეკავშირებულია მათის არსებით მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. ამიტომ დღევანდელ ბიუროკრატიისათვის ძალიან ძნელია მხარეში წესიერების დამყარება, საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმალურ კილაპოტში ჩაყენება. დღეს ერთ მუჭა კაპიტალისტებს მსხვერპლათ ეწირება მთელი ქვეყნის ბედნიერება და მათთვის სულ ერთია, თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუღარ დარჩენილა, საზოგადოება უფსკრულში ჩანარცხულა. ამის თვალსაჩინო, უტყუარ ფაქტებს აშკარათ უნდა ხედავდეს რუსეთის მრავალ ტანჯული ხალხი, რომელიც ათასგვარ გადასახადებისგან სისხლის ოფლში იწურება, და რომელთა სიცოცხლე და არსებობა ათასგვარ აუტანელ სიმშილსა და გამანადგურებელ სენს ეწირება მსხვერპლათ.

პირველი და მეორე სახლმწიფო დუმა, სავსებით ააშკარავებდა ბიუროკრატიის ყოველივე ნაკლს პირველი დუმა გარეკეს, როგორც რევოლიუციონური, რადგანაც ის მოითხოვდა; საუფლისწულო, სათავადო სამინისტო და სხვ. მიწების ძალით ჩამორთმევას და იმათის გლეხების ხელში გადაცემას. მეორე დუმის ს.-დ. ფრაქციის დატყვევება ხალხის დაუსწრებლათ გასამართლება, რომელთაც უფრო აქტიურად მომქმედ მათგანს ყოველივე უფლება ჩამოართვეს და კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტეს,—შედეგია ამ უკანასკნელთა მიერ დღევანდელ ვითარებაში ყოველივე მოქმედების გამოაშკარავებისა და მშრომელ ხალხის ინტერესებთან დაპირდაპირებისა. ხოლო მეორე დუმის გარეკა, ამასთან მოყოლებული 3 ივნისის აქტი, რომელმაც მოახდინა სახელმწიფოს გადატრიალება, ნათლად ხატავდა ბიუროკრატიის მთელ ფიზონომიას, მის შემოქმედებითი ნიჭს მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეში.

ყველა ამ მწარე გამოცდილების შემდეგ, და კიდევ ამას გარდა ბევრი სხვებისაც, ქალაქის პროლეტარიატი და სოფლის გლეხობა, ღრმათ დარწმუნ ბული უნდა იყოს იმაში, რომ ასეთ მდგომარეობიდან გამოსვლა დამოკიდებულია მათ პირად მოქმედებაზე, შეგნება-შეკავშირებაზე და სხვა... რომელიც გამოიყვანს მათ, და მათთან ერთად დაიხსნის მთელ ქვეყანას, მოსალოდნელ დაღუპვისა და განადგურებისგან. მუშათა კლასს ერთ წუთს არ უნდა ავიწყდებოდეს ზემო აღნიშნული მწარე გაკვეთილები; მაგრამ, ამავე დროს მას არ უნდა ავიწყდებოდეს, მუშათა კლასის დიდებულ მოძღვრის, კარლ მარქსის, სიტყვები: „მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეაო“.

დალამბერი.

---

## ჩვენი უმოქმედობა.

ყველა კულტულურ ქვეყნების პროლეტარიატმა განვლო ხანა ბურჟუაზიულ რევოლიუციების და ჩქარის ნაბიჯით მიექანება სოციალურ რევოლიუციისაკენ და სხვა და სხვა პოლიტიკურ ფორმებში დარაზმულ პროლეტარიატს ამაყად უპირავს თავისი დროშა და გაჰყურებს უკან ჩამორჩენილ ამხანაგებს. კულტურულად ჩამორჩენილ სახემწიფოების ბურჟუაზიულ რევოლიუციების დაჩქარება, განათლებულ სახელმწიფოთა სოციალურ რევოლიუციების დაჩქარებას ნიშნავს და უკულმა—პირველების შეფერხება გამოიწვევს უკანასკნელების შეგვიანებას. ასეთი მჭიდრო კავშირი აქვთ ისტორიულად სხვა და სხვა ქვეყნის პროლეტარიატს.

მერე როგორია ჩვენი მოქმედება დღეს? რა ხარისხისაა ჩვენი მუშაობა პროლეტარიატში ბურჟუაზიულ რევოლიუციის დასაჩქარებლათ?

უსიცოცხლობა, გულ-ციობა, უმოქმედობა. აი რაა გამწვავებული ჩვენს პარტიაში. მართალია, რეაქციამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს მუშაობას, მაგრამ მთლად ამით არ აიღსნება ჩვენი მოქმედების შემცირება. მე მაქვს სახეში პროლეტარიატის ის ნაწილი, რომელსაც ისტორიამ არგუნა მეთაურობა. მოწინავე მუშები და ინტელიგენტები. აი ამაშიაც იჩინა თავი დიდმა ბოროტებამ, რომელსაც ინდიფერენტიზმი ეწოდება. მათ აღარ ეხალისებათ მასაში ტრიალი, წრეებში სიარული. პროპაგანდისტი გამოგვიგზავნეთ, მოგვაძახიან სოფლებიდან. პროპაგანდისტია საჭირო,—გაისმის თბილისის რაიონებში. პროპაგანდისტები კი აღარა სჩანან სამუშაოზე. ცოდნის წყურვილ აღძრულ მუშას ვეღარ აკმაყოფილებს „იაჩეიკური“ კრებები. ის სტოვებს „იაჩეიკას“. დიახ, ჩვენ სათანადოთ ვერ ვაკმაყოფილებთ მასის გონებრივ მოთხოვნილებას. მიდის ჩვენგან შეუგნებელი მუშა. მას ამაში ხელს უწყობს დღევანდელი უკულმართი პირობები, და აი გუშინდელი სოც.-დემოკრატი დღეს საზოგადოებას ევლინება შანტაჟისტის სახით, რითაც ის მტერი ხდება განმათავისუფლებელ მოძრაობისა. ის აღარ ინდობს თავის მოძმესაც კი, სცარცავს და კლავს. ამ რიგათ მან გადიკიდა ორი ძმა. მის მაგიერ რომ ისინი შეერთებულიყვნენ და საერთო მოქმედებით ხელი შეეწყოთ განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის, ისინი აღარ ინდობენ ერთმანეთს. ეს, რასაკვრელია, შეუგნებლობის ბრალია და დამნაშავე კი ის არის, ვისაც შეგნება აქვს და არა სცდილობს შეგნება შეიტანოს და მით შეაკავშიროს პროლეტარიატი.

ეს ითქმის, როგორც ქალაქებზე, აგრეთვე სოფლებზედაც. თავისუფლების დროს, როდესაც სოფლის მემამულეები ატყობენ, თუ როგორ მისდიოდათ ხელიდამ, როგორც პრივილეგია-უპირატესობანი, აგრეთვე მამულ-დედული, შეადგინეს ეგრეთ წოდებული შავი რაზმი და შეეცადენ წინ გადაღობოდნენ ხალხის რისხვას. მაგრამ გლეხობამ სოლიდარობა გამოიჩინა. მათ დაუპირდაპირეს შავ რაზმს წითელი რაზმი. ბრძოლაში წითელმა აჯობა, მაგრამ საუბედუროთ, როგორც კი წამოვიდა რეაქცია ამ რაზმის დიდი ნაწილი თავის მოქმედებით ამოუდგა გვერდში რეაქციის აგენტებს და ახლაც ხალხის დამონების საქმეში დიდ სამსახურს უწევს მათ. ჩვენ ვამობდით მფელი რაზმის უმრავლესობა ყაჩაღებათ გადაიქცნენ და გლეხების ცარცვა-აწიოკებას მიყვეს ხელი. ერთი სიტყვით შავრაზმელების წინააღმდეგ მებრძოლები ბევრით მეტსა სჩადიან, სანამ თვითონ შავები და ამით სახელს უტეხავენ გლეხებში პროლეტარიატის და გლეხკაცობის ნამდვილ მეგობრებს—სოც.-დემოკრატებს, ამით სა-

რგებლობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი და ათასნაირ ჭორებსავრცელებენ ჩვენზედ. ასეთნაირი ქცევით ისინი ხელს უწყობენ თავის ნამდვილი მტრების ფარფაშს. მეტი ბოროტება გამომდინარეობს მეტი შეუგნებლობი და ჩვენც ამ შეუგნებლობას უნდა ვებრძოლოთ.

ეხლა მე მინდა ამხანაგების ყურადღება მივაქციო პროვინციაში ჩვენ პარტიულ მუშაობაზე. პროვინციების ორგანიზაციები, ხშირად თავისი მოქმედებით გადასცდებიან ხოლმე ს. დ. საზღვრებს, რასაც დიდი ზარალი მოაქვს, როგორც ხალხისათვის, აგრეთვე პარტიისთვის. ეს იმით აიხსნება, რომ ისინი ერთობ დაშორებულები არიან პარტიის ცენტრალურ ორგანოებს.

მათ ყურებს არ სწვდება სიეზდების დადგენილებები, ის რეზოლიუციები, რომლებიც [illegible] ლდებულად ხდის [illegible] ყურებს ვა- დ. დისციპ[illegible] დაუმორჩილოს ს, მო[illegible]ლინას. ერთი სიტყვით [illegible]ივავე რაზმში მდგომი ამხანაგები და პროვინციებში მომუშავე პირები დაშორებულები არიან ერთმანეთისაგან ასე, რომ რასაც პირველნი აკეთებენ იმას მეორეები ვერ იგებენ და რაღა გასაკვირველია, რომ მათ თავიანთი მოქმედებით გადაუხვიეს და გასცდენ სიეზდის ნამდვილ ნება-სურვილის გამოხატულებას. ის პარტიული ავანტიურისტები, რომლებიც ყველანაირ საშუალებებს ხმარობენ, რომ მოკურცხლონ, სიეზდზედ სადაც ასე თუ ისე სწყდება პარტიის ცხოვრებიდგან, წამოყენებული კითხვები. დიდ დანაშაულს სჩადიან ამრჩეველთა წინაშე, როდესაც ამ უკანასკნელთა შორის მოკრეფილ გროშებით გაისეირნებენ რომელსამე ევროპის სახელმწიფოში, თავისთვის გამოირკვევს ამა თუ იმ კითხვას და აღარ დაბრუნდება ამომრჩევლებთან, რომ მათაც გაუზიაროს სიეზდის შეხედულება-და დადგენილებანი ამა თუ იმ საგანზე. ამის მაგალითებს გვაძლევს უკანასკნელ სიეზდზე გაგზავნილები, გარდა თითო ოროლასი. ამის გამო მუშების უმრავლესობა მოკლებულია სიეზდის დადგენილებებს, რასაც დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს პარტიის წევრებისთავის. სიეზდის ოქმებს ხომ დიოგენის ფარნით უნდა ძებნა, ისიც თუ იპოვნე. ასეთი უმოქმედობა და ათასნაირი სხვა დაბრკოლებები უშლის ხელს მუშების შეგნება-შეკავშირების საქმეს და განმათავისუფლებელ მოძრაობის გამარჯვებით დაგვირგვინებას. მეტი მოთხოვნილება მასაში, მეტი, მოქმედება მასში. როგორ უნდა ი[illegible]ავეს ჩვენი მოქმედება, ამა[illegible]ე შემდეგ მოველაპარა[illegible] მეგობარ მუშებს.

სოსო სტალარი.

## სათათბიროს გარშემო.

დუმის სოც.-დემოკრატ დეპუტატებმა უკანასკნელ სხდომაზე თავჯდომარის საქციელი მიღგომილებათა სცნეს. მათის აზრით, ჩხეიძის სიტყვაში, ისეთი არა ყოფილა-რა, რომ ვინმე დამსწრეთაგანთათვის შეურაცხობა მიეყენებინოს; ამიტომ ხომიაკოვს უფლება არ ჰქონდა ის შეეჩერებინა. თავმჯდომარის განცხადებას, რომ ჩხეიძემ არ იხმაროს იმისთანა სიტყვები, რომელსაც შეუძლიან არეულობა მოახდინოს, სოც.-დემოკრატები უყურებენ, როგორც სურვილს, სრულიად გააჩუმოს სოც.-დემოკრატები, რადგანაც, როდესაც კი გამოჩნდება ხოლმე ტრიბუნაზე სოც.-დემოკრატი, მაშინვე არეულობა იწყება მემარჯვენეთა შორის.

—

ამ დღეებში სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის კომისიას სხდომა ქონდა მუშათა საკითხის შესახებ. კომისიამ განიხილა კანონ-პროექტი გაფიცვების შესახებ, რომელსაც ფრაქცია შეიტანს დუმაში. კანონ-პროექტი შემდეგის შინაარსისა:

1) მუშებს აქვთ გაფიცვის უფლება.

2) ყოველივე მოქმედება ორის, ან მეტის, ურთიერთ შორის შეთანხმებულის მუშისა, თავის ეკონომიურ უფლებრივ და პოლიტიკურ უფლების დასაცავათ, დაუსჯელი უნდა დარჩეს ისე, როგორც დაუსჯელი დარჩება; ასეთივე მოქმედება ურთიერთ შორის შეუთანხმებლობის დროს.

3) კეძოთ, დაუსჯელი უნდა იყოს გაფიცვა და ბოიკოტი. დაუსჯელივე უნდა იყოს გაფიცვით და ბოიკოტით დამუქრება, მათი ორგანიზაცია, მათდამი მოწოდება, მონაწილეობა იმ ჯგუფში, რომელსაც მიზნათ აქვს გაფიცვის და ბოიკოტის მოწყობა და სხვა ზომები მათი ცხოვრებაში გასატარებლათ ნახმარი.

4) თუ დანაშაულობას ჩაიდენენ გაფიცულები, ან კერძო პირნი, გაფიცვის გაგრძელებისთვის, სასჯელი დიდი არ უნდა იქმნას.

5) მოხელენი, ან კერძო პირნი, რომელნიც ხელს შეუშლიან, მე-2 მუხლში მოყვანილ მუშის უფლებას, დაპატიმრებულ უნდა იქმნენ არა უმეტეს 6 თვისა. ასეთივე სასჯელით დაისჯება მექარხნე, რომელიც არ მიიღებს სამუშაოზე მუშას, ან დაითხოვს ქარხნიდამ, მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო.

გაფიცვისთვის დათხოვნა—ეს დაბრკოლებაა გაფიცვის თავისუფლების განხორციელებისა.

7) გაფიცვის დროს მუშაობის შეწყვეტა, არა სპობს მუშასა და დამქირავებლის შორის ხელშეკრულებას.

8) თუ გაფიცვა გამოწვეულია სავაჭრო-სამრეწველო ადმინისტრაციის მიერ, რაიმე პირობების დარღვევით, გაფიცულებს ეძლევათ ჯამაგირი გაფიცვის დროს.

9) მუშები არ უზღავენ არავის ზარალს, თუ ვისმე მიაყენებს თვის მოქმედებით, რომლებიც ნაჩვენებია მეორე მუხლში.

10) კანონის მუხლები, რომლებიც ამ დებულების წინააღმდეგია, უქმდება.

11) ეს დებულება მუშის სახელით გულისხმობს ყველა დაქირავებულ მუშას, თუნდა იგი სახელმწიფო სამსახურშიაც იყოს.

— კონსტ.-დემ. ფრაქციამ შეიმუშავა კანონ-პროექტი სავაჭრო დაწესებულებაში მომუშავეთა დასვენების შესახებ. კანონ-პროექტის აზრი ასეთია: ყველა მუშა მუშაობს 8 საათს. იმ დაწესებულებაში, რომელნიც ღია უნდა იყვეს 8 საათზე მეტი, შემოღებულ უნდა იქმნას ორი წყება მუშებისა. რუსეთის გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ და ეკონომიურ სხვა და სხვაობის გამო კანონ-პროექტი დასვენების მოწესრიგების საქმეში დიდ ადგილ უთმობს ადგილობრივ თვითმმართველობას.

—

ამ დღეებში პეტერბურგში ვასილევის რაიონის მენშევიკ სოც.-დემოკრატებს კრება ქონდათ, სადაც განხილულ იქმნა მესამე დუმაში, სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის მოღვაწეობა, გადაწყვიტეს, სთხოვონ ფრაქციას, გააცნონ მუშებს თვის კომისიებში მუშაობა და გამორკვეულ იქმნას შემდეგი მოღვაწეობა ფრაქციაში.

—

კადეტები არ ფიქრობენ საშობაო კანიკულების დროს, კომისიებში მუშაობის შეწყვეტას. დუმაშიაც ეცდებიან ასე გაატარონ კითხვა მუშაობის შესახებ.

—

8 დეკემბერს ეპისკ. ევლოღიმ შეიტანა განცხადება უკიდურეს მემარჯვენეთა პარტიაში, რომელთაც მათ უკიჟინებს ოპორტიუნიზმს და აცხადებს, რომ მისი დარჩენა პარტიაში ამის შემდეგ მას შეუძლებლათ მიაჩნია.

# ახალი ამბავი

**შანტაჟისტების ოინბაზობა.** ავლაბარში კაბგეროვის ქუჩაზე მცხოვრებ, პროფესიით მეპურეს იოანე ციხისელს მოსვენებას არ აძლევენ შანტაჟისტები; აგერ მესამეთ მიუხდენ მას და სთხოვენ 300 მან. პირველათ წერილის საშუალებით ამცნეს, მერე აშკარათ მივიდენ და უთხრეს, რომ მაგ წერილის ავტორებ ჩვენ ვიცნობთ, შუა კაცებათ დავდგებით და მოგარიგებთ; მაგრამ საწყალ მეპურეს რომელიც ორ თონე პურს აცხობს დღეში, აპა საიდან შესძლებს ათი თუმნის გადახდას!

✦ **ციხიდან განთავისუფლება.** ამ დღეებში დაპატიმრებული ნაფიცი ტფილისის საბჭოს ხმოსანი ნ. ზ. ელიავა მეტეხის ციხიდან გამოკითხვის შემდეგ ჟანდარმის სამართველომ უკვე გაანთავისუფლა. ბ-ნ ელიავას დაუბრუნეს მისი ბიბლიოთეკიდან წაღებული ყველა წიგნები, გარდა 75 ბროშიურისა. ტფილისის ქალაქის გამგეობა სცდილობს რამენაირად გაანთავისუფლებინოს დაპატიმრებულნი ქალაქის გამგეობის მოხელენი ანკევიჩი, ბესელიძე და მამულაშვილი. დაპატიმრებულთათვის აქამდე ჩვენება არ ჩამოურთმევიათ, და არც იციან, რასთვის დააპატიმრეს იგინი.

✦ **ქართული ლექცია.** კვირას 16 დეკემბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ექიმი ი. გომართელი წაიკითხავს ლექციას ქართულათ შემდეგ თემაზე: „თავის

# ფელეტონი

## ძირითადი მიზეზები დღევანდელის ვითარებისა.

(გაგრძელება *)

### III.

ჩვენ ზევითა ვსთქვით კაპიტალისტურ წესით წარმოების აღორძინება-განვითარებაზე რუსეთში. ფეოდალურ ხანაში კი, როგორც ვიცით, გაბატონებული იყო ხელოსნური, ამქრული წესი წარმოებისა. განვიხილოთ, თუ რა განსხვავებაა და როგორ აღორძინდა კაპიტალიზმი რუსეთში. თვალი გავადევნოთ აგრეთვე ამ უკანასკნელის ზრდა-განვითარებას, მისგან ფეოდალურ წეს-წყობილების დანგრევას და მის ნაცვლად ახალ, ბურჟუაზიულ წეს-წყობილების დამყარებას.

ამქრული, ანუ ხელოსნური წესი წარმოებისა გამოწვეული და დამყარებული იყო **შრომის უბრალო, განუვითარებელ იარაღებზე**, რომლებიც ერთს მხარეზე აყენებდნენ მათ მესაკუთრე ხელოსანს, ოსტატს, მეორე მხარეზე მოქირავნე, ყველანაირად ოსტატზე დამოკიდებულ და მიჯაჭულ ქარგალს; ესენი მხოლოდ წინადვე შეკვეთილ საქონელს ამზადებდნენ.

კაპიტალისტური წესი წარმოებისა კი გამოწვეული და დამყარებულია **შრომის განვითარებულ და გაუმჯობესებულ იარაღებზე**, როგორიც არიან მაგალ. მაშინები და სხვა. ასეთი შრომის იარაღები ერთ მხარეზე აყენებენ მათ მესაკუთრე კაპიტალისტს, ანუ მექარხნეს, მეფაბრიკეს, მეორე მხარეზე—თავისუფლად დაქირავებულ მუშებს. კაპიტალისტი პირადათ არავითარ მონაწილეობას არ იღებს საქონლის წარმოებაში, რომელიც მხოლოდ დაქირავებული მუშებით ხდება, ნაწარმოები კი მას ეკუთვნის,

როგორც მკითხველიც მიხვდებოდა, ამ ორ გვარ წარმოების წესს შორის განსხვავება დამოკიდებულია სხვა და სხვა გვარ შრომის იარაღებზე. უბრალო იარაღები ერთგვარ წარმოების წესს იწვევენ, გაუმჯობესებული იარაღები კი სულ სხვა გვარ წესს მოითხოვენ. აქედან აშკარაა, რომ წარმოების სხვა და სხვა წესები დამოკიდებული და გამოწვეულია შრომის იარაღების განვითარებაზე, მათ გაუმჯობესობაზე.

კაპიტალისტური წესით უფრო სწრაფად და უკეთესად ნაწარმოები საქონელი კაპიტალისტს ბლომად გამოჰქონდა ბაზარზე და გაცილებით უფრო ნაკლებ ფასებში ჰყიდდა, ვიდრე ხელოსანი, რომელიც მეტ დროსა და ძალ-ღონეს, ანუ ენერგიას ხარჯავდა იმგვარივე საქონლის დამზადებაზე და ამისათვის გაცილებით მეტი უჯდებოდა. ამნაირად ხელოსანი კაპიტალისტს მეტოქეობას ვეღარ უწევდა ბაზარზე, ძალა-უნებურად მარცხდებოდა და კოტრდებოდა; გაკოტრებული ხელოსანი კი იძულებული ხდებოდა თავის დამღუპავ კაპიტალისტისავე ქარხანაში, ან ფაბრიკაში, მუშად დაჰქირავებოდა.

ამნაირად კაპიტალისტურმა წესმა წარმოებისამ თანდათან რუსეთშიაც დაამარცხა ხელოსნური წესი წარმოებისა და მით დაარღვია ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებული იყო ოსტატის და ქარგლის დამოკიდებულობა და საზოგადოთ ფეოდალური ურთი-ერთობა.

ერთხელვე აღორძინებული კაპიტალისტური წესით საქონლის წარმოება, ანუ კაპიტალიზმი, რუსეთშიაც თანდათან ვითარდებოდა, მდიდარი კაპიტალისტები აშენებდნენ ქარხანა-ფაბრიკებს, იძენდნენ საუკეთესო საწარმოვო სხვა და სხვა მაშინებს და სხვა გაუმჯობესებულ იარაღებს, ბლომად ყიდულობდნენ ნედლ, დასამუშავებელ მასალას, ქირაობდნენ მუშებს და მათი ნასყიდი შრომის საშუალებით ბაზრისათვის აწარმოვებდნენ საქონელს, რაც დრო გადიოდა, ქარხანა-ფაბრიკები უფრო და უფრო მრავლდებოდა, ბაზარი ფართოვდებოდა, აღებ-მიცემობა მატულობდა, ვაჭრობა ყვავდებოდა, კაპიტალი იზრდებოდა, ფული ყველგან ბატონდებოდა. ქალაქები შესამჩნევად გაიზარდა, სადაც აუარებელმა დამზადებულმა საქონელმა და საზოგადოთ დიდ-ძალმა სიმდიდრემ თავი მოიყარა; საზოგადოებრივი ცხოვრება გართულდა, მოთხოვნილებები გაფართოვდნენ, სოფელი ქალაქმა დაიმორჩილა.

კაპიტალიზმმა, ამქრული წარმოების მოსპობისთანავე, დაანგრია მასზედ ნაშენი ფეოდალური ცხოვრება და მის ნანგრევებზე ახალი ეკონომიური კლასები და მათი ურთი-ერთობა წამოაყენა. ხელოსნების და ქარგლების მაგივრად, ერთ მხრივ გაჩნდა კაპიტალისტები და საზოგადოთ შეძლებულ მესაკუთრეთა, ანუ ბურჟუაზიის კლასი, რომლებსაც კაპიტალი, ე. ი. დიდ-ძალი თანხა ფულებისა, ფაბრიკა-ქარხნები, მაშინები და სხვა გაუმჯობესებული იარაღები, ადგილ-მამულები დ სხვა ეკუთვნოდათ, მეორე მხრივ—საკუთრების მოკლებული, ბოგანო მუშა ხალხის გაცილებით დიდი ჯგუფი, ანუ პროლეტარიატის კლასი, ურომლისოდაც საქონლის წარმოება და საზოგადოთ კაპიტალიზმის განვითარება-გაფართოვება შეუძლებელი იყო.

სოფლად, როგორც ბატონისათვის, ისე ყმა-გლეხისათვის ფული აუცილებელ საჭიროებად გადაიქცა, რადგანაც მხოლოდ მისი საშუალებით შეიძლებოდა ბაზარზე დამზადებულ საქონლის ყიდვა და მით უსაჭიროესი და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ფული კი ვაჭრებისა და მექარხნე-მეფაბრიკეების ხელში იყო, რომლებისათვის საქონლის საწარმოებლად და მის გამყიდველებად, ნოქრებად საჭირო, ნი იყვნენ მოქირავნე მუშები.

გაღატაკებული გლეხები ბატონ-ყმობის მძიმე უღელ ქვეშ უმწეოდ გმინავდნენ. ფეოდალების დაუნდობელი ბრჭყალები მათ შეუბრალებლად სისხლსა სწოვდა, სულს უხუთავდა და მიწაზედ ძალით აკოწიწებდა. ყველანაირად შევიწროვებული გლეხები ხედავდნენ ქალაქებში აშენებულ ქარხანა-ფაბრიკებს და სავაჭროებს, სადაც მუშად დაქირავება და ფულის შოვნა შეიძლებოდა, მაგრამ ბატონები და მათი მოურავები მათრახებით წინ ეღობებოდენ.

ასეთმა გარემოებამ ყმა-გლეხებში დაბადა და გააძლიერა ბატონ-ყმობის უღლიდან განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში უმაღლეს წერტილს მიაღწია. შეტორტმანდა, ამბობოქრდა გლეხობის ზღვა, რომელიც თავის აზვირთებულ ტალღებით ბატონების და მათი თვითმპყრობელ მთავრობის წალეკას ლამობდა. გლეხები მედგრად მოითხოვდნენ მიწას და თავისუფლებას, რაც მათი ცხოვრებისათვის აუცილებელ საჭიროებად გადაიქცა. შეშფოთდნენ ყველა განებივრებული და გაამპარტავნებული მებატონეებიც.

ხალხის საერთო მოძრაობამ გადაჭრით მოითხოვა თვითმპყრობელ მთავრობისაგან: ან მიწა და თავისუფლება, ან გზიდგან ჩამოშორება. მიხვდა თვითმპყრობელობა, რომ თუ ზევიდგან ნებით არ გაანთავისუფლებდა გლეხებს, ძირიდგან თვითონ ხალხი გაინთავისუფლებდა თავს. 1861 წ. რუსეთში და 1864 წ. ჩვენში ის იძულებული შეიქმნა გლეხები მანიფესტით გაენთავისუფლებინა.

ბატონ-ყმობა გადავარდა; გლეხის და ბატონის შორის უფლებრივი განწყობილება გამოიცვალა; ყმა განთავისუფლდა. მაგრამ ბატონ-ყმობა მთავრობაში, მის მართვა-გამგეობაში ანუ პოლიტიკაში ხელუხლებელი დარჩა. ხალხის მოძრაობა ჩანელდა, მაგრამ დროებით ბატონების მთავრობამ ზევიდან იძულებით მიანიჭა გლეხებს თავისუფ-

*) იხ. „ცის ნამი“ № 7.

ტვინი და მისი მნიშვნელობა ადამიანის ფსიხიურ ცხოვრებაში“. ლექციის დასაწყისი ნაშუადღევის 4 ს.

✦ **კაცის გასრესა.** პოლიციის მე 10 ნაწილში, დამოჟნის ქუჩაზე, 13 დეკემბერს ვაგონს ქვეშ მოჰყვა და გაისრისა ერთი უცნობი კაცი, რომელიც აღმოჩნდა ყაზახის მაზრის მცხოვრები პოლოს დარპინიანცი.

✦ 14 დეკემბერს ტფ- მეტეხის ციხის ფეხის ადგილში ზედამხედველებს უნახავთ დაგდებული გვამი ყელ გამოჭრილ პატიმრის რაფშან გუდანტოვისა. დამნაშავეებს ეძებენ.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრება.** ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკის სადგომში დღეს დილის 10 ნახევარ საათზედ დანიშნულია გაგრძელება ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების 9 დეკემბრის სხდომისა. დღევანდელს კრებაზე განხილულ იქნება პროექტი წესდებისა საზოგადოების პროვინციალურ განყოფილებათათვისდა რამდენიმე სხვა საკითხი. შემდეგ მოხდება არჩევნები საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

✦ **სახალხო ლექცია.** რელიგიოზურ-ფილოსოფიურ საზოგადოების ინიციატორობით დღეს 16 დეკემბერს ტფ. ვაჟთა მ ორე გიმნაზიის სადგომში, დიდი მთავრის ქუჩაზე, საღამოს 6 ს. კ. ხ. ლომიძე წაიკითხავს სახალხო ლექციას ამ სათაურით: „двоиственность природы человѣка“.

✦ **შანტაჟისტების ოინბაზობა.** როგორც გვატყობინებენ ავლაბარში გაბგეროვის ქუჩაზე მცხოვრებ მეპურეს ივანე ციხისელს ეს მესამეთ მისცვივიან ვიღაცა შანტაჟისტები და 300 მ. სთხოვეს ამ ბოლო დროს 300 მ. ას მანათზე ჩამოუყვანიათ, თუ კი ივანე ციხისელი მორიგებით გაათავებს ამ ნარიბაღებთან საქმეს.

✦ **თავდასხმა.** 13 დეკემბერს საღამოს 8 საათზე სუფ-კარაპეტის ქუჩაზე მცხოვრებ მეპურეს რომანოზ კასეოღლიძეს, შეგვარდნია დუქანში რევოლვერებით უეაარაღებული ხუთი შანტაჟისტი და საკვდილის მუქარით 5 მ. წაურთმევიათ.

✦ ამ ერთი წლის განმავლობაში ეს ეს მეექვსეჯერ დაეცნენ კასეოღლიძეს და მოსვენებას არ აძლევენ ვიდაც ვიღაცა ნაძირალები.

✦ **ქალის გატაცების განზრახვა** 14 დეკემბერს მეცხრე საპოლიციო ნაწილში, ახალ უბანში ნინა ადუაშვილის ქალს თავს დაესხა ათი კაცი, რომელთაც მისი გატაცება უნდოდათ, მაგრამ თვითონ ქალი სახლში არ დაუხვდათ და დამცემნი ხელ ცარიელა გამობრუნდნენ.

✦ **ახალი გაზეთი.** დღეს 16 დეკემბერს, თფილისში გამოვიდა ახალი ყოველდღიური, ქართული გაზეთი **„ცისარტყელა“**.

## სამღვდელოების კრება

—

14 დეკემბერს, ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ განიხილა სამი საკითხი: პირველი საკითხი შეეხებოდა ძველ სასულიერო სემ. შენობას—სამღვდელოებამ დაუთმო მას თუ არა უწმ. სინოდის საკუთრებათ და მიიღოს თუ არა ნაცვლათ ახალი შენობა ქალაქს გარეთ, ვერაზე. ამ საკითხმა კარგა ხანს გამოიწვია კამათი. დეპუტატები თალაკვაძე, ხახიშვილი, ბარნაბოვი და სხვანი ამტკიცებდენ, რომ საქართველოს სამღვდელოება ვერავის დაუთმობს აღნიშნულ შენობას. უწ. სინოდი კანონით ვალდებული არის ყველა ეპარქიებში თავის ხარჯით იყიდოს სემენარიის შენობანი და თავისივე ფულით შეინახოს ეს სასწავლებელი და, რატომ უსათუოდ ქართველმა სამღვდელოებამ უნდა მისცეს უწ. სინოდს სასყიდელი სემინარიის ასაგებათ, საქართველოს ეკკლესიისაგან ჩამორთმეულ მამულებიდან მილიონები შემოდის ხაზინას და განა ერთი შენობა, რომ აგვიშენონ დიდი ამბავი მოხდება? კარგა ხანს თათბირის შემდეგ კრებამ დაადგინა: ქ. სამღვდელოების საკუთარი ქონება არავის დაეთმოს, არც გაცვლით და არც მიყიდვით. ამასთანავე შუამდგომლობა აღძრან უწ. სინოდის წინაშე, რომ ახალი შენობაც ეპარქიის სამღვდელოების განკარგულებაში იქნეს გადმოცემული, სადაც შეიძლება მოთავსებულ იქნეს სემენარია. შემდეგ შეეხენ საკითხს სასულიერო სასწავლებლებში რა ენაზედ იქნეს დაწესებული სღვთისმეტყველო საგნების სწავლება. ამას წინათ, ამორჩეულ კომისიას სავალდებულოთ უცვნია სწავლა სემენარიასა და სასწავლებლებში სამშობლო ენაზე სწარმოებდეს. უწ. სინოდს ამაზე შემდეგი რეზოლიუცია გამოუტანია: „ნება მიეცეს ქართველ სამღვდელოებას ქართულ ენაზე სწავლის მოწყობისა იმ პირობით, რომ ხარჯიც სამღვდელოებამ გასწიოსო. ვინც რუსულზე მოისურვებს სწავლას ხარჯი სინოდისაგან იქნება გაღებულიო. კრებამ კარგა ხანს ითათბირა ამ საკითხისა გამო და დაადგინა: სასულიერო სემინარიასა და სხვა სასწავლებლებში სწავლა სამშობლო ენაზე სავალდებულო იყოს. კრებამ ამავე სხდომაზე ამოირჩია სამი კაცი განსაკუთრებულ კომისიაში, რომელმაც რევიზია უნდა გაუკეთოს საეპარქიო სანთლის ქარხანას.

## მუშათა შორის

—

**სათავად-აზნაურო კლუბის ხელზე მოსამსახურების საყურადღებოთ.** მე ამ წერილით მინდა აღვნიშნო სათავად-აზნაურო კლუბის ხელზე მოსამსახურეთა მიმართულება და მათი მისწრაფება. როგორც კერძო კაცს მსურს მოვახსენო ამ ამხანაგებს, რომ ისინი ჯეროვანათ ვერ ემსახურებიან თავიანთ მიზანს. რასაკვირველია, ეს ასე არ უნდა ხდებოდეს, ამხანაგებო. თქვენი შეუგნებლობით ვერ აღწევთ იმ დიად მიზანს, რომელიც თქვენთვის საუკეთესო არის. ყველასათვის ცხადია, რომ შეუგნებელ ადამიანისთვის საკუთარი „მე“ არსებობს და „შენ“ კი არა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდებათ, რომ თქვენც მოგელით ჩვენსავით კრიტიკული მდგომარეობა და მაშინ კი იკადრებთ ხელი შეუწყოთ თქვენი—უმუშევრათ დარჩენილი ამხანაგების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. იმ ამხანაგების, რომელნიც თქვენი პროფესიის სახელს ატარებენ და პროფესიონალურ კავშირს ეკუთვნიან. თქვენ გშურთ, რომ იმათაც დაიკმაყოფილონ თავიანთ მოთხოვნილება და თქვენ კი ზედ მეტ შემოსავალით დროებას ატარებთ ბანქოსა და ლოტოს თამაშით. მე მოგაგონებთ თქვენ იმ ამხანაგების სოლიდარობას, რომელნიც დღეს ორი თვეა რაც გაფიცულნი არიან. დღეს ღვინის სარდაფების, სამიკიტნოების, ტრაქტირების და სირაჯების მოსამსახურენი იმ ნიადაგზე არიან მომზადებულნი, რომ იმათ გულს ვერ სცვლის ვერავითარი პროვაკატორული ჭორები, მედგრათ უდგანან ბრძოლის ველს თავიანთი შეგნებულ იდეიით და თხოულობენ თავიანთ შრომის გაუმჯობესობას. ამისათვის, ამხანაგებო, თქვენ, როგორც თქვენი ნამდვილი ინტერესების დამცველი ამხანაგები, მოვალენი ხართ, რომ გაუწიოთ დახმარება იმ ამხანაგებს, რომელნიც დღეს უსაქმოთ არიან დარჩენილნი, ნუ ჩამორჩებით, ამხანაგებო, უმუშევრებს, იგრძნეთ დღევანდელი მუშათა კლასის სოლიდარობა და ნუ მისცემთ თავს ნებას, რომ მუშის სახელი და მიმართულება ფეხ-ქვეშ ითელებოდეს.

**ი. ჯიხაიშელი.**

—

ს. კვაიჭაძის სამკერვალო ქარხანაში ერთ წელიწადზე მეტია რაც თვიური მუშაობა არსებობს. ბატონი კვაიჭაძე, თვიურ მუშაობის დაარსების დღიდანვე, შეეცადა მოწინავე მუშები თავიდან მოეშორებინა. ამ ხნის განმავლობაში ათას ხრიკებს უგონებს იმ მუშას, რომლის ფიზონომიაც მოეწონება და უნდა როგორმე დაითხოვოს. მაგრამ მუშები არ აძლევენ ისეთ მიზეზს, რომ მათი დათხოვნა სამართლიანი იყოს. ამ შემთხვევაში ბ-ნ კვაჭაძეს აქვს სხვა საშუალება. ეს საშუალება ფულია. „აჰა. შენ სამი თვის ჯამაგირი, აილე და წადი, სულ რთია, მე ჩქარა უნდა დავკეტო და, მაშინ კი სამ-სამი თვის ჯამაგირს ყველას ვერ მოგცემთ-ეუბნება ხაზეინი დაითხოვს მუშას. ოღონდ კი თავიდან მოიშოროს ბ-ნმა კ-ძემ „ბუნტოვჩიკი“ მუშა, თორემ სამი თვის ჯამაგირი, აბა რა ფულია?!..

ამ ზაფხულს კ-ძემ დაითხოვა ოთხი მუშა, ვითომდა იმ მიზნით, რომ შტატი უნდა შეემცირებინა. მაგრამ არ გავიდა თვე ნახევარი, რომ სამი მუშა აიყვანა ისეთები, რომელიც მას თვითონ სურდა. ბ. კვაჭაძის პოლიტიკა აშკარაა: ნელნელა მოშორება შეგნებულ მუშებისა ამ პოლიტიკას მუშები შეგნებულათ შეხვდნენ. კარგა ხანია ერთი შეგნებული მუშის დათხოვნა უნდა ხაზეინს ე'ა მუშა ორ კვირას ავად. იყო და ავათმყოფების შემდ ხაზენი არ იყვანდა, მაგრამ მუშებმა მხარი დაუჭირეს და ხაზენი იძულებული გახადეს ამავე მუშას აეყვანა ორი კვირით კიდევ სხვაგან მოუხდათ

ლება, მაგრამ სამაგიეროდ ისინი სასტიკად მოატყუა. აი როგორ:

მებატონეების ის ადგილ-მამულები, რომლებსაც ბატონ-ყმობის დროს ყმა გლეხები ხმარობდენ—იმის ნაცვლათ, რომ განთავისუფლებული გლეხებისათვის სრულ საკუთრებათ მიეზომნათ,—მთავრობამ შუაზედ გაუყო: ნახევარი, საუკეთესო მიწები ჩამოაჭრა და მებატონეების სრულ საკუთრებათ დასტოვა, ნახევარი, უვარგისი მიწები კი გლეხებს „ნადელებათ“ და არა საკუთრებათ მიუზომა; თუ გლეხები ნადელების დასაკუთრებას მოიწადინებდენ, ფულით უნდა გამოესყიდათ. ასე რომ, ბატონ-ყმობა სულ კი არა, ნახევრათ გადავარდა, თუ ესე შეიძლება ითქვას. მართალია, ბატონ-ყმური უფლებრივი განწყობილება, ანუ გლეხის პირადი იურიდიული დამოკიდებულება ფეოდალისაგან, კანონით მოისპო, მაგრამ ბატონ-ყმობა ეკონომიურ ნიადაგზე თითქმის ისევ ძველებური დარჩა. გლეხობის ერთმა უმცირესმა ნაწილმა შეისყიდა ნადელები, მაგრამ უმრავლესობამ, სიღარიბისა გამო, ეს ვერ შესძლო და უმეტეს შემთხვევაში ისევ ძველებურათ მებატონეებზე იყო დამოკიდებული.

ამნაირათ, მოკლეთ რომ გავიმეოროთ ზევით ნათქვამი, კაპიტალისტური წესით წარმოების ზრდა-განვითარებამ მოსპო ის ეკონომიური საფუძველი, რომელზედაც ფეოდალური წეს-წყობილება იყო დამყარებული; საფუძვლის დანგრევას თან მოჰყვა მაზედ დაყრდნობილ ზედნაშენის, ფეოდალური ურთიერთობის, დანგრევაც, რომლის ნანგრევებზედაც კაპიტალისტური წეს-წყობილება და, მისგან გამოწვეული, ბურჟუაზიულ ცხოვრების ურთიერთობა აშენდა.

კაპიტალიზმისავე განვითარებამ, რომელიც აუცილებლივ თავისუფალ მოქირავნე მუშა ხელს მოითხოვდა, გამოიწვია ბატონ-ყმობის გადავდება რუსეთში. ყმა, რომელიც ფეოდალის მიწაზედ ძალით იყო მიჯაჭული, განთავისუფლდა ბატონის ბრჭყილებისაგან, მაგრამ ეკონომიურათ, ფეოდალური ნაშთების წყალობით, ძველებურათ ისევ მებატონისაგან დარჩა დამოკიდებული. როგორც ქალაქათ, ისე სოფლათ! საზოგადოებრივი ცხოვრება არ გამომოიცვალა, რომელმაც სულ სხვანაირი ელფერი და მიმდინარეობა მიიღო. ახალმა კაპიტალისტურმა წესმა წარმოებისამ, ახალი ეკონომიური კლასები და ბურჟუაზიული ურთი-ერთ განწყობილება წამოაყენა, რომელიც მისგან პირდაპირ გამომდინარეობდა. პროლეტარიატი,—კაპიტალისტებისაგან და საზოგადოთ მესაკუთრეთა კლასის,—ბურჟუაზიისაგან დაგებულ ეკონომიურ ბადეში გაება და მის კლანჭებში მოექცა.

### IV.

ჩვენ ვიცით ახლა თვითმპყრობელ მთავრობის წარმოშობა და მისი გაძლიერება, ვიცნობთ თვითონ თვითმპყრობელობასაც; გათვალისწინებული გვაქვს აგრეთვე კაპიტალისტური წარმოებისაგან ამქრული, წარმოების და მაზედ ნაშენი ფეოდალური ცხოვრების მოსპობა. ეხლა გადავხედოთ კაპიტალიზმისაგან გამოწვეულ ბურჟუაზიულ ცხოვრების მიმდინარეობას, თვითმპყრობელ მთავრობის კანონ-წესების და ამ ახალ ცხოვრების წინაალმდეგობას.

რამდენათაც კაპიტალიზმი ვითარდებოდა და ფართოვდებოდა, იმდენათ, როგორც ზევითაცა ვთქვით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი ცვლილება ხდებოდა: ქარხანა-ფაბრიკები თანდათან მრავლდებოდა საქონლის წარმოება, ანუ დამუშავება-დამზადება, აღებ-მიცემობა და ვაჭრობა უფრო ხშირდებოდა. ერთ მხრივ კაპიტალისტი-ხაზეინები მუშების ნაოფლარით უფრო მდიდრდებოდენ, მათი მოძრავი და უძრავი სამრეწველო და სავაჭრო თანხები, ანუ კაპიტალები იზრდებოდა, სამაგიეროთ წვრილი ხელოსნები და მრეწველები კოტრდებოდენ, პროლეტარდებოდენ. მეორე მხრივ, მოქირავნე ბოგანო მუშები, პროლეტარები, რომლ ბიც მხოლოდ თავის ღშრომელ მარჯვენას შესცქეროდენ და მით ირჩენდენ თავს,—თანდათან ღრავლდებოდენ. ამასთანავე იზრდებოდა მათი საერთო სიღარიბე და გაჭირვება, რადგანაც კაპიტალისტები სარგებლობდენ მაში ერთმანეთთან ცილაობით, მეტოქეობით და, ისედაც მცირე ხელფასს, უფრო უმცირებდენ, სამაგიეროთ დიდხანს ამუშავებდენ.

პროლეტარების საერთო, საზოგადო სიღარიბემ, ღუხჭირმა ცხოვრებამ და ერთ უზარმაზარ ტაფაში ერთნაირათ წვა-დაგვამ, კარგათ გააცნო და შეაგნებინა მათ თავის საზოგადოებრივი მდგომარეობა. ერთგვარ ცხოვრების პირობებში და ერთ და იგივე კაპიტალისტების ბრჭყალებში ყოფნამ, რომლებიც მათ ყველას ერთნაირათ ყვლეფავდენ, აიძულა პროლეტარიატი, მუშები მჭიდროთ შეერთებულ-შეკავშირებულიყვნენ და საერთო ძალით გამკლავებოდენ კაპიტალისტებს. პროლეტარებში პირველათ ეკონომიურ ინტერესების ნიადაგზე დაიბადა ურთ-ერთ შორის თანაგრძნობა, ანუ სოლიდარობა, რომლის გაღვივება-გაძლიერებას ხელი შეუწყეს მათი ინტერესების გამომხატველმა და დამცველმა სოციალდემოკრატიამ.

პროლეტარები ხელ,ფასის მომატებისათვის, სამუშაო დროს შემოკლებძსათვის და სხვა მოთხოვნილებებისათვის, რაზედაც მათი ცხოვრების გაუმჯობესება იყო დამოკიდებული, იძულებულები იყვენ ხშირათ მიემართათ გაფიცვებისათვის; ეს ერთათ-ერთი იარაღი იყო მათ ხელში, რომლის საშუალებითაც ისინი ხაზეინ-კაპიტალისტებს აიძულებდენ დაეკმაყოფილებინა მათი სამართლიანი მოთხოვნილებანი.

ბატონ-ყმურ და მონურ ცხოვრებაზედ აშენებულ თვითმპყრობელობას, რომელსაც ბრძანებლობა და საზოგადოებრივი ცხოვრების მათრახებით და ხიშტებით მოწესრიგება თავიდგანვე ჰქონდა შესისხლ-ხორცებული, არაფრად ეჭაშნიკა ახალი ბურჟუაზიული ცხოვრების ეს აუცილებელი მოვლენა; მან ეს „ბუნტად“ მიაჩნია და მის მოსპობას თავისებურად ძველებურად შეუდგა.

თვითმპყრობელი მთავრობა თავის შეაავიწროებელ კანონ-წესებით ყველასაგან მხოლოდ მორჩილებას მოითხოვდა; ვინც ამ კანონ-წესების ფარგლებს გადასცდებოდა და მით წინააღმდეგობას გაბედავდა, მას სისტიკად სდევნიდა; მისი კანონით აკრძალული იყო გაფიცვების მოხდენა, კრების გამართვა, სიტყვის თავისუფლება და სხვა. ყველა ესენი კი პროლეტარისათვის აუცილებელ სახიროებას წარმოადგენდა. მუშებსა და ხაზეინებ შორის ატეხილ ეკონომიურ ბრძოლაში, რომელიც მათ მდგომარეობიდგან და ინტერესთა წინააღმდეგობიდგან აუცილებლად გამომდინარეობდა, ასეთი მთავრობა მათრახებით და ხიშტებით ერეოდა, მუშების ეკონომიურ ბრძოლას ყველანაირად იუმკლავდებოდა და ამ გზით ცდილობდა ამ აუცილებელ მოვლენის ჩაქრობას. თვითმპყრობელობის ერთგული, უპასუხისმგებლო პოლიცია სასტიკად სდევნიდა და სჯიდა გაფიცულებს, ატყუებდა შეკრებილებს, თავისუფლად მოლაპარაკეს, თუ მწერალს და სხვა.

პროლეტარებს ძალა-უნებურად პოლიციასთან უხდებოდათ შეტაკება,ასე რომ ეკონომიური ინტერესებისათვის მათი ბრძოლა ხეზეინ-კაპიტალისტებთან თავისთავად აუცილებლივ იწვევდა პოლიტიკურ ბრძოლას ე. ი. მთავრობასთან ბრძოლას უფლებების მოსაპოვებლად. შეერთებული პროლეტარიატი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ასეთი მთავრობა მხოლოდ მდიდარ კაპიტალისტებს ემხრობა და ისედაც დაბეჩავებულ პროლეტარებს კი სხვა და სხვა კანონ-წესებით ყველანაი-

წასვლა, რაც საპატიო მიზეზი ქონდა, მაგრამ ხაზეინი საპატიო მიზეზს რას დაგიდევს მას მიზეზი უნდოდა ამ ეუშას დასათხოვათ და აასრულა კიდეც; „სეზონი გასულია და ვერ აგიყვან, სამი თვისა მიიღე და წადით ამის შესახებ მუშები შეიკრიბნონ და შემდეგი დადგენილება გამოიტანეს: და ვიდებთ რა მხედველობაში 1) რომ ხაზეინი ცდილობს დაითხოვოს ყველა მოწინავე მუშები და შემდეგ აიყვანოს ესეთები, რომელნიც მის მხარეზე იდგებიან, რაც დამტკიცა 4. მუშას დათხოვნამ 2) რომ კერძოთ ზემოხსენებულ მუშა, როგორც შეგნებული და მოწინავე ამხანაგი; მის დათხოვნას ცდილობს დიდი ხანია; 3) რომ ამ მუშას აქვს საპატიო მიზეზები თავის მოგზაურობის გამოთ კრება ახდენს: 1) არ მიეცეს უფლება ხაზეინს დაითხოვოს ზემოხსენებული მუშა; 2) მუშების დათხოვნა მუშების საქმეა და ხაზეინს არ აქვს უფლება რომელიმე მუშას ხელი დაადოს და ის დაითხოვოსო ამის შემდეგ ამოირჩიეს კომისია. ვნახოთ რას ეტყვის კ-სიას ბ-ნი კვაიჰიძე.

**ლახვარი.**

## პატარა ფელეტონი

წარსულის ხსოვნას.

18 ოქტომბრის დილაა... მზე საამურათ ანათებს შემოდგომის ჩაყვითლებულ ტყე-ველს სიცოცხლეს ჰგვრის. განსპეტაკებული მთის მწვერვალებიც გაბრწყინვებულია, [illegible] ნება ხარობს, მხოლოდ არ [illegible] შორის მყუდროებას [illegible] ამიანთა ბია... ყველას გ[illegible] დაუსადგურებლობა აწეი[illegible] ელს ნაღველი და გან შო[illegible], მაჯის ცემაც ყველ[illegible] უწყვეტილია, სძინავს ფაბრიკა-ქარხნებს, არ ისმის დილდილაობით ჩვეულებრივად „გუდოკების“ ხმა; აქნამდის მუშებით გაჭედილი ქარხანა დღეს დაცარიელებულია, არ ისმის მის მატარებლების მიმოსვლის ხმა და ორთქმავლების ქშინვა. დიახ, ყოველივე სდუმს და ამ დუმილშია მძაფრი ქარიშხალი...

სოფელ ქ—საც მოუწყენია. საერთო დუმილს ისიც ბანს აძლევს. მხოლოდ, როგორც სხვაგან, ისე აქაც ელოდებიან „რაღაცას“; იციან, რომ ასეთი სოლიდარული გრძნობით გამსჭვალული გაფიცვა, როგორიც დღესაა, „რაღაცას“ მოიტანს, რაიმე ცვლილებას მოახდენს...

დუმილი ირღვევა. სასიხარულო ამბავი გუშინ თურმე მთელ არემარეს მოსდებია, და დღეს დილით ჩვენ აქამდისაც მოახწია. „უმაღლეს მანიფესტმა“, აღთქმულმა თავისუფლება“.

როგორც მთელ რუსეთს, ის ჩვენ სოფელსაც მოედო ეს ამბავი, მიდუნებული ხალხი ფეხზე დადგა... შეჩერებულთ მაჯის ცემა კვლავ ამოძრავდა; დიდებული დღეა.., ყველას გაკვირვებითი ნიშანი ეტყობა...

სოფლის ბოლოში ხალხი იკრიბება; დიდებული მიტინგია; თავისუფლების ემბლემა—წითელი დროშები ჰაერში ამაყათ ფრიალებენ. დიდებული მოძღვრის კ. მარქსის სურათი პატივცემით მაღლიდგან დაჰყურებს იქ შეკრებილთ, თითქო ამაყობდეს, უხაროდეს, რომ მისმა მოძღვრებამ [illegible]ყესვები გაიდგა... სასიხარულო ჰიმნი, თავისუფლების გალობა მიდამოს აყრუებს, რევოლიუციონური სიმღერები გულს ფიანდაზათ ეფინება. ორატორის მჭექარე ხმა არემარის აყრუებს: ის ხალხს უხსნის მომენტის მნიშვნელობას, ის ხალხს უხსნის, რომ „მაღლიდგან ნაბოძები, მაღლიდანვე წაგვერთმევა“. დიდებული მიტინგია... რამდენიმე ათასი ხალხია შეკრებილა ორატორის მჭექარე, თან მღელვარე ბრაზმორეული და „ცეცხლ-მოკიდებული“ სიტყვები მსმენელებს ლომ-ვეფხვის გამბედაობას აძლევენ და მზად არიან, რომ მტერი ნაკუწ-ნაკუწ აქციონ. ყველა თავს თავისუფლად გრძნობს, არავისი არ ეშინია...

ცხენთა ფეხის ხმა ისმის; ეს ხმა თანდათან ახლოვდება. გარეთ მყოფნი შიგნით შემოდიან; ხალხი ირევა, ორატორი ხალხს ამშვიდებს, მაგრამ ამაოთ... ტრრრ... ტრ-ტრ-ტრ-ტრ... დაიჭექა თოფებმა. უიარაღო ხალხი აირია; ერთი მეორეს თავზედ აკვდება; თავისუფლება ფეხქვეშ ითელება... თავისუფლების მზე, უკვე ჩავიდა... ველი დაცარიელდა; ბრძოლის ველზე რამდენიმე მკვდარი და რამდენიმე დაჭრილია, უბედურნი, მაგრამ ბედნიერნი!.. ესინი არიან მსხვერპლნი თავისუფლებისა, ისინი დაეცნენ ბრძოლაში და განისვენეს ცივ სავანეში, რომელსაც მომავალი მზის ცხოველმყოფელი სხივები გაათბობს!..

პლებეი.

### საპყრობილეში.

...მე მონა ვარ... დიე, ვიყო
მოწუწუნე და ბედშავი..,
დე, მტარვალი სისხლით გაძღეს,
თავს დამატყდეს დღენი შავი...
მე მონა ვარ!.. მაგრამ მაინც
მევე დავლეწ ბორკილებსა
და ამაყათ გადავიტან
მწარე, სასტიკ სატანჯველსა...
მე მონა ვარ!.. ბოლმა გულის
გესლს შეასხამს ზღუდეს მწარეს;
დაიგრგვინებს... დედამიწის
პირათ აღგვის ცივ სამარეს...
მე მონა ვარ!.. და მონობა
დასტრიალებს თქვენს სამყაროს;
და მას მიზნათ დაუსახავს—
ძირს სამოთხე დაამყაროს. .
და ბრძოლის ხმა, გრგვინვა-ქუქით
მთლათ აყრუებს არე-მარეს
და, ვით ზღვა გემს, თვის ღრმა გულში
ძველს ყველაფერს ასამარებს.
მე მონა ვარ!.. და მრწამს კიდეც
მონა ზობავს თავისუფალს,
დრო დადგება... პასუხს მოსთხოვს,
თავის ბატონს, თავის უფალს!..

ცალხელა.

### პირველ სათათბიროს დეპუტატების გასამართლება.

პეტერბურგის სამოსამართლო პალატის განსაკუთრებულმა გამგეობამ, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, დაიწყო საქმის გარჩევა პირველ სახემწიფო სათათბიროს დეპუტატებათ ნამყოფ მურომცევისა, თავ. დოლგორუკოვისა, გრედესკულის, თავ. შახოვსკისა და სხვათა, რომელთაც ბრალდებათ კანონის 51 მუხ. და სისხ. სამარ. დებულების პირველ ნაწილის მესამე მუხლის დარღვევა. თავმჯდომარეობს სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე კრაშენნიკოვი. ბრალსა სდებს პალატის პროკურორის ამხანაგი ზიბერტი. დეპუტატებმა მიიყვანეს ორმოც-და-ათზე მეტი პეტერბურგისა და სხვა ქალაქების ნაფიცი ვექილები. პასუხისგებაში მიცემულია 169 კაცი, ამათგან 11 არ გამოცხადდა, რომელთაგანაც ორი გარდაცვლილა. ყველა მათგანს ბრალათ ედებათ, რომ მათ განიზრახეს მოწოდების გავრცელებით, რომელიც მიმართული იყო ხალხისადმი, რომ ეს უკანასკნელი არ დაემორჩილნენ და წინააღუდგნენ კანონს. წინასწარი მოლაპარაკებით და ერთმანეთის თანხმობით, 10 ივლისს 1906 წელს, ქალაქ ვიბორგში, ეს მოწოდება შეადგინეს რუსეთის მცხოვრებლებს შორის გასავრცელებლათ და ხელი მოაწერეს მოწოდებას შემდეგი სათაურით: ხალხს-ხალხის წარმომადგენლებისაგან. მოწოდება მიმართული იყო მთელი რუსეთის მოქალაქეებისადმი, რაც თავის შინაარსით აქეზებდა რუსეთის მცხოვრებლებს, რომ მათ არ შეეტანათ ხაზინაში სახელმწიფო და საერობო გადასახადები და ხარჯები არ მიეცათ ჯარის-კაცები, რაც საზოგადო კანონით არის აღიარებული. ამ გვარი მოწოდება მათ თვითონ და აგრეთვევე გარეშე პირების შემწეობით, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ წინასწარ მოლაპარაკებაში, მართლაც მრავლათ გაავრცელეს რუსეთის სამზღვრებზე. ამ საქმის გამო გამოწვეულია 50 მოწმე, კალლიგრაფიის ექსპერტი. საბრალმდებლო ოქმის გამოქვეყნების შემდეგ, როდესაც ბრალმდებელი ეკითხებოდა დანაშაულათ სცნობენ თავს თუ არა, დეპუტატები უპასუხებდნენ. „არა ვართ დამნაშავე“. მექვსე საათის დასაწყისს, სხდომა დილამდინ შესწყვიტეს..

14 დეკემბერს დილით განახლდა პეტერბურგის სამოსამართლო პალატის განსაკუთრებულ გამგეობის სხდომა პირველ სათათბიროს დეპუტატებათ ნამყოფთა გასასამართლებლათ. დაიწყო მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა. მოწმეების უმრავლესობის შეკითხვა, რომელთაც უნდა ეჩვენებიათ ზოგიერთი ფაქტები, რასაც არც თვითონ დეპუტატები უარყოფენ, ნაფიცმა ვექილებმა და პროკურორმაც მელით მიიყნია. როგორც დამნაშავეთ. ჩვენება ჩამოართვეს ხეტრუნკევინჩს, კოკოშკინს და ნაბოკოვს.

მიწის კითხვა, ანუ აგრარული კითხვა.

რად ამუხრუჭებს, კრებებს, თავისუფალ სიტყვას. კავშირებს და სხვას უკრძალავს, მით ხელ-ფეხს უბორკავს და სულს უხუთავს. იმისათვის ისინი იძულვებულები შეიქმნენ თვითმპყრობელ ბიუროკრატიას შეებრძოლებოდნენ თავის პარტიის, სოციალ-დემოკრატიის სახით უფლებების მოსაპოვებლად.

აი ამ მიზნით შეგნებული და გათვითცნობიერებული პროლეტარები დრო-გამოშვებით გამოდიოდნენ ქუჩებში და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს ახდენდნენ.

მთელი რუსეთის პროლეტარიატის ასეთმა უკიდურესმა მდგომარეობამ, რომელიც ცალკე კაპიტალისტებისაგან იყვლიფებოდა და ცალკე თვითმპყრობელობის კლანჭებში გმინავდა, დაბადეს და თანდითან გაამაგრეს მათი საიდუმლო კავშირები, გაალვიეს და გააძლიერეს მათში სოლიდარობა განუწყვეტელი ბრძოლა აუტეხეს თვითმპყრობელ მთავრობას.

სულ სხვა პირობებში მიმდინარეობდა სოფლის ცხოვრება. გლეხობის უმრავლესობის, ისედაც დაბეჩავებული მდგომარეობა, ვიდრე ქალაქის პროლეტარიატისა, დღითი დღე უფრო უარესდებოდა.

ყოფილი ფეოდალები ბატონ-ყმური, ანუ ფეოდალური ნაშთებით და ყველანაირი წოდებრივი უპირატესობით ძველებურად უხვადრსარგებლობდნენ; ისინი ხშირად ძალით ართმევდნენ გლეხებს ნადელებს და სხვებზედ ჰყიდდნენ, ტყე, ხე და საბალახოზე უზომო ბაჟებს აწესებდნენ, გლეხებში შურსა და მტრობას სთესავდნენ დი ერთი მეორეს აცილებდნენ მიწებზე, რითაც ლოლას მაღლა სწევდნენ და სხვა. საზოგადოთ ისინი ყველანაირად ისე ძველებურად სჩაგრავდნენ ისედაც ღატაკ გლეხობას, რომელიც მიწის სიმცირისა გამო თანდითან საშინელ ჰაჭირვებაში ვარდებოდა და ხშირად შიმშილობას ითმენდა. საზოგადოთ მოსავალიც ყოველ წლივ თანდითან მცირდებოდა, რადგანაც ხელ-მოკლეობისა გამო გლეხობის უმრავლესობა მიწებს ვერ აპოხიერებდა, ამ მიზეზით მიწა უფრო და უფრო იფიტებოდა და ყოველწლივ შედარებით მცირე მოსავალს იძლეოდა; ხალხი მრავლდებოდა, გლეხობის მიწები კი პატარა ნაჭრებად ნაწილდებოდა.

გლეხობის ასეთი უნუგეშო მდგომარეობა და აუტანელი დუხჭირი ცხოვრება ხშირად აერთებდა, აკავშირებდა მათ ერთმანეთთან და მემამულეების წინააღმდეგ ამხედრებდა; ისინი ძალით იტაცებდნენ მებატონის მიწებიდგან მოსავალს, სჩეხავდნენ მათ ტყეებს, თავის ნებით ხნავდნენ მათ მიწებს და ლალას ან სულ არ აძლევდნენ, ან კიდევ მცირედს, მაგალითად მეათედს და სხვა. ზოგან გლეხები ძალით ისაკუთრებდნენ და ინაწილებდნენ მემამულეების მიწებს. მათ ასეთ მოძრაობას, სხვანაირად აგრარულ მოძრაობას ეძახიან, რომელიც უმთავრესად გამოწვეულია და გამომდინარეობს ბატონ-ყმურ ნაშთების არსებობიდან. ამ მოძრაობამ, რომელიც ამ ნაშთების წინააღმდეგ არის მიმართული, წამოაყენა რუსეთში საჭირ-ბოროტო მიწის კითხვა, ანუ აგრარული კითხვა.

გლეხების აგრარულ მოძრაობასაც წინ მედგრად ელობებოდა იგივე თვითმპყრობელი მთავრობა თავის ერთად ერთ მომწესრიგებელი მათრახით და ხიშტით; ის მხოლოდ მემამულეებს ექომაგებოდა, განსაკუთრებით მათ ინტერესებს იცავდა. უკეთ რომ ვსთქვათ, ის ამით თავის ინტერესებსაც იცავდა, რადგანაც ასეთ მთავრობის წარჩინებულ ბიუროკრატების და მოხელეების ადგილები გამოჩენილ დიდ მემამულეებს უჭირავთ, ამიტომაც მემამულეებისაგან შემდგარი მთავრობა ეპყრობოდა „ბუნტოვჩიკ“ გლეხებს.

თვითმპყრობელობის მათრახებმა და ხიშტებმა ღრმათ ჩააფიქრეს გლეხკაცობაც, რომელსაც თვითონ მთავრობა ერეკებოდა პოლიტიკური ასპარეზისაკენ. ისინი თანდითან გამოერკვივნენ და შეიგნეს თავის საზოგადოებრივი მდგომარეობა. ხელის ტოლა ადგილებზე მიკოწიწებულმა, ყველანაირად შევიწროვებულმა გლეხებმა ხელი გაუწოდეს ქალაქის მუშებს და მათთან ერთათ ერთხელ კიდევ გადაჭრით მოითხოვეს მიწა და თავისუფლება.

ასეთი მოთხოვნილება, როგორც ზევითაც გვქონდა ნათქვამი, საკმაოდ განვითარებულმა კაპიტალიზმმა წამოაყენებინა გლეხებს. მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ აუცილებლივ საჭიროა საკუთარი სამყოფი მიწა და მისი თავისუფლათ მოხმარება; საჭიროა ყველანაირი ფეოდალური ნაშთების აღმოფხვრა, რომლებიც სოფლათ კაპიტალიზმის განვითარებას წინ ელობებიან, სადაც ის დღემდის მხოლოთ მევახშეობის სახით შედიოდა და ვითარდებოდა, მაგრამ ამ ნაშთების არსებობას, მემამულეების და თავის მიწებს იცავს თვითმპყრობელი მთავრობა, რომელსაც არ შეუძლიან გლეხებს დაუთმოს მიწა; ამისათვის გლეხები მიწასთან ერთათ მოითხოვენ თავისუფლებასაც, ურომლისოდაც მიწის მოპოვება და შენარჩუნება შეუძლებელია.

ამნაირათ, მოკლეთ რომ გავიმეოროთ ზემოთ ნალაპარაკევი, კაპიტალიზმისაგან გამოწვეულმა ორმა ერთი მეორეს მოპირდაპირე კლასმა, ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა, როგორც სხვა კაპიტალისტურათ დაწინაურებულ ქვეყნებში, ისე რუსეთშიც ეკონომიური ინტერესების ნიადაგზედ ასტეხეს ერთმანეთთან მუდმივი ბრძოლა. პროლეტარები ცდილობდენ სამუშაო დროს შემცირებას, ხელფასის შემოკლებას და საზოგადოთ სამუშაო პირობების და მით თავის ცხოვრების გაუმჯობესებას; კაპიტალისტები კი ყველანაირათ ეწინააღმდეგებოდენ მათ ასეთ მისწრაფებას, რადგანაც ეს მათთვის ხელსაყრელი არ იყო მით, რომ მოგებას უმცირებდა. ფეოდალურ ცხოვრების ნიადაგზედ აღმოცენებულ ბიუროკრატიულ მმართველობას თავის კანონ-წესებით, რომლებიც ქვეშევრდომისაგან მხოლოთ მონა-მორჩილებას მოითხოვდა, არ შეეძლო შესთანხმებოდა და შეგუებოდა ახალ ბურჟუაზიულ ურთიერთობას, არ შეეძლო მოეწესრიგებინა ამ ორი კლასის ერთმანეთთან განწყობილება. ასეთი მთავრობა ბურჟუაზიული ცხოვრების ახალ [illegible]ოვლენებს: გაფიცვებს, კავშირებს, კრებებს და სხვას, რომლებიც მუშებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდენ, მხოლოთ მათრახებით, ციხეებით და ციმბირით ებრძოდა. ამისათვის პროლეტარები იძულებულები იყვნენ თვითმპყრობელ მთავრობისათვის უფლებები მოეთხოვნათ; ეკონომიური ინტერესებისათვის მათი ბრძოლა თავისთავათ პოლიტიკურ ბრძოლასაც იწვევდა.

კაპიტალიზმის განვითარებამვე წამოაყენა რუსეთში საჭირ-ბოროტო, რთული აგრარული კითხვა. მემამულეებისაგან გატყავებულმა და გაყვლეფილმა, უმიწაწყლო და მშიერმა გლეხებმა ძალაუნებურათ დაიწყეს აგრარული მოძრაობა და ბრძოლა მიწის მოსაპოებლათ, რომელიც გამოწვეულია ფეოდალური ნაშთების არსებობიდან. მემამულეების მთავრობა მათაც გადაეღობა. გლეხებმა ხელი გაუწოდეს ქალაქის მუშებს და მიწის მოპოვებისა და დასაკურებისათვის მოითხოვეს თავისუფლებაც.

მკითხველი ეხლა ნათლადა ხედავს იმ ეკონომიურ-პოლიტიკურ მიზეზებს, რომლებმაც პროლეტარიატს და გლეხობას ერთათ ხელიხელს ჩააკიდებინა და მიწა და თავისუფლება მოათხოვნინა.

კაპიტალისტურმა წეს-წყობილებამ ბურჟუაზიული ცხოვრება გამოიწვია, რომელიც თავის შესაფერ ახალ კანონ-წესებს მოითხოვს, ვეღარა თავსდება ძველ კანონ-წესების ფარგლებში და საზოგადოთ თვითმპყრობელობის შემავიწროვებელ ქერქში. აი, ამ წინააღმდეგობამ კვლავ გამოიწვია და გააძლიერა მესამოცე წლების შემდეგ დროებით ჩაბნელებული განმათავისუფლებელი მოძრაობა.

რედაქტორ-გამომცემელი

**გიორგი სხირტლაძე.**

სტამბა „სორაპანი“ მადათოვის კუნძული № 1.